

ვილნიუსის სამიტთან დაკავშირებით საქართველოს პრემიერმინისტრი ირაკლი ღარიბაშვილი დღეს სპეციალურ მიმართვას გააკეთებს.

როგორც ირაკლი ღარიბაშვილმა სამხედრო ქალაქში ჯარისკაცებისთვის ბინების სიმბოლურად გადაცემის შემდეგ განაცხადა, ევროკავშირთან ასოცირების ხელშეკრულების პარაფირება მოხდება ხვალ, რაც მისი შეფასებით, საქართველოს მომავლისთვის ძალიან მნიშვნელოვანია.

"ჩვენი ხალხის არჩევანი არის ევროპული ოჯახი. შესაბამისად, ეს პროცესი იქნება შეუქცევადი. რაც შეეხება ასოცირების მნიშვნელობას, საქართველოს გაეხსნება მრავალმხრივი გზა, იქნება ეს ბიზნესის კუთხით, ვაჭრობის კუთხით თუ სხვა. მინდა მივულოცო თითოეულ ქართველს ვილნიუსის მნიშვნელობა", - განაცხადა ირაკლი ღარიბაშვილმა.

{youtube}RcvuHeCwwCk{/youtube}

ოთხშაბათი, 27 ნოემბერი 2013 21:59